

„დღეს საქართველოს სამი მთავრობა ჰყავს“

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 22-28 სექტემბერი, № 38, 2008

გველის თუ არა რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ომის საფრთხე? რამდენად არის ამისთვის მზად საქართველო? რა პრობლემებია საბანკო და სამშენებლო ბიზნესებში? რატომ დაიწყო ნოღაიდელისა და გურგენიძის დაპირისპირება და რატომ ჰყავს ჩვენს ქვეყნას კომიკური პრემიერ-მინისტრი? ყოველივე ამის შესახებ „ქრონიკას“ ესაუბრება დამოუკიდებელი ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ლადო პაპავა:

– ჩვენ რამდენიმე თვის წინ ესაუბრობდით იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა საომარი მოქმედებების დაწყებას საქართველოში. მაშინ მე ვაკეთებდი პროგნოზს, რომ თუ საომარი მოქმედებები იქნებოდა ხანმოკლე, მაშინ საქართველოს ეკონომიკა ამას გაუძლებდა. საქართველოს გარკვეულ რეგიონებში ახლაც საგანგებო მდგომარეობაა, რუსის ჯარი ჯერ კიდევ დგას და ფორმალური თვალსაზრისით ომი დასრულებული არ არის, თუმცა აქტიური საომარი მოქმედებები მხოლოდ ხუთ დღეს მიმდინარეობდა. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკამ ამას გაუძლო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკას პრობლემები არ შეექმნა. პრობლემა გახლავთ თუნდაც ის, რომ ბანკებიდან დიდი რაოდენობით ფული გავიდა და ახლა ბანკებს სჭირდებათ, რომ ეს ფული უკან დაბრუნდეს. ფულის გატანა ძალიან ადვილი და სწრაფი პროცესია, დაბრუნება კი გაცილებით რთული და ხანგრძლივი. ეს პროცესი დამოკიდებულია იმაზე, რომ ხალხმა საბოლოოდ უნდა ირწმუნოს, რომ ომის საშიშროება დასრულებულია. დღეს საქართველოს იმდენად დიდი აქვს საერთაშორისო დახმარება, რომ ეს პოზიტიურ სიგნალს ქმნის და ბანკებში ფულის უკან შეტანის პროცესი დაწყებულია, მაგრამ ეს ტემპები სწრაფი ვერ იქნება. დღეს ბევრ ბანკს სესხების გაცემა არ განუახლებია. ამის მიზეზი არის ის, რომ მათ შესაბამისი საკრედიტო რესურსი არ გააჩნიათ. ვიცი ისიც, რომ ძალიან ბევრ ბანკს თავის თანამშრომლებზე დაწესებული აქვთ საბჭოთა ეპოქის მსგავსი გეგმები, თუ მიმდინარე თვის განმავლობაში რა თანხების მობილიზება უნდა მოახდინონ. ეს გამიზნულია იმისთვის, რათა ბანკის თანამშრომლებმა

გაიკლან თავი და ხალხს ფული შემოატანინონ. ეს თავისთავად ძალიან სასაცილო რამ არის. ბანკის თანამშრომელს რა შეუძლია? უკეთეს შემთხვევაში ქუჩიდან მოიყვანოს კლიენტი, მაგრამ ქუჩაში ვინც დადის, ის ყველაზე დიდი ბანკში 1000 ლარის შეტანას თუ შეძლებს. ეს თანხა ამინდის შემქნელი არ არის. ის ვისაც შეუძლია 10 ათასობით, 100 ათასობით და მილიონებიც კი შეიტანოს ბანკში, ქუჩაში არ დადის. ეს კომიკური სიტუაციაა, მაგრამ მე მესმის ამ ბანკებისაც, რადგან თუ ისინი ვერ შეძლებენ თანხების მოზიდვას, იძულებული გახდებიან თავისი საბანკო აქტიურობა შეზღუდონ და შესაძლოა, ამას მოჰყვეს თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვაც.

– მიუხედავად ასეთი პროცესებისა, საქართველოში შემოდის ძალიან ბევრი ახალი ბანკი. ეს ბანკები დაფუძნებულია უცხოური კაპიტალით. მათი შემოსვლა ხომ არ არის განპირობებული სწორედ იმით, რომ შექმნილი პრობლემების გამო ქართულ ბანკებს დაეკარგებათ ნდობა და მოსახლეობა ფულს უცხოური კაპიტალის მქონე ბანკებს უფრო მიანდობს?

– მეტსაც გეტყვით. თანხები, რომელიც გატანილი იქნა ქართული ბანკებიდან, ნაწილი ხალხმა შეინახა “მუთაქაში”, მაგრამ დიდი ნაწილი საერთოდ გაიტანეს საქართველოდან და განათავსეს საზღვარგარეთის ბანკებში. ეს ტენდენცია არსებობდა და არსებობს, მაგრამ ღვთის მადლით ის კანონზომიერებად არ ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, ხალხს უფრო მეტი ნდობა აქვს უცხოური ბანკების მიმართ, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო. ერთ მაგალითს გეტყვით: როგორც წესი, ბანკები ფულის მოზიდვას ცდილობენ საპროცენტო განაკვეთებით, მაგრამ ჩვენთან ბანკებმა შეჯიბრი გამოაცხადა არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთების სიდიდით, არამედ გათამაშებების მოგონებითაც. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ბანკებს სჭირდებათ დამატებითი რესურსები და იქ რომ იდეალურად იყოს მდგომარეობა, არ დაიწყებდნენ მილიონებისა და მანქანების გათამაშებას. ეს უკვე მიანიშნებდა იმას, რომ ბანკებში პრობლემები ისედაც იყო, უბრალოდ, ომმა ეს უფრო გაამძაფრა.

– საბანკო პრობლემა ავტომატურად აისახა სამშენებლო ბიზნესზეც. მოსალოდნელია თუ არა ამ ბიზნესს სერიოზული საფრთხე დაემუქროს?

– იგივე შემთხვევა ვთქვა სამშენებლო ბიზნესზეც. აქ რომ პრობლემა იყო, ესეც არ არის ახალი. ჩვენ ადრეც გვისაუბრია იმაზე, რომ რამდენიმე სამშენებლო კომპანია შესაძლოა გაკოტრებულიყო იმის გამო, რომ ისინი ვაჭრობენ “ჰაერით” და სახელმწიფოს ეს სფერო საერთოდ მიშვებული აქვს.

სახელმწიფო არ ფიქრობდა მომხმარებელზე და საერთოდ, საქართველოს მთავრობას ყველა სფეროში მომხმარებლის თემა 4 წელზე მეტია საერთოდ აღარ აღელვებს. ბანკებში შექმნილმა მდგომარეობამ სამშენებლო ბიზნესში შექმნილი კრიზისული სიტუაცია უბრალოდ დააჩქარა, რადგან დღეს ბანკებს აღარ აქვთ იმდენი საკრედიტო რესურსი, რომ ამ სფეროში ჩადონ და აქედან გამომდინარე, ამ “ჰაერის ბიზნეს” გაუჭირდა. ეს პროცესი ომმა დააჩქარა, თორემ ის გარდუვალი იყო და წლის ბოლოს მაინც დაიწყებოდა.

– ეს კრიზისი გამოიწვევს უძრავი ქონების ბაზარზე ფასების სერიოზულ ვარდნას?

– ამ ეტაპზე კრიზისშია რამდენიმე საამშენებლო კომპანია და იმის თქმა, რომ ეს არის მთელი სამშენებლო ბიზნესის კრიზისი, ჯერ ნაადრევია. შესაძლოა ეს კრიზისი ჩამოყალიბდეს... თუ საქართველოში წამყვანი ბანკების მიერ რეალიზებული იქნება სპეციალური პროგრამები საკრედიტო რესურსის გასაზრდელად, ანუ, თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ჩათვლიან, რომ რუსეთის აგრესიის გამო ქართულ ბანკებს სჭირდებათ დახმარება, მაშინ შესაძლოა, ეს კრიზისი არც ბანკებში ჩამოყალიბდეს და არც საამშენებლო ბიზნესში. ასე რომ, მთლად უიმედოთაც არ უნდა ვიყოთ, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ მეორე სცენარიც, რაც მე ვიმედოვნებ, რომ არ მოხდება, მაგრამ თუ არ იქნება საერთაშორისო ფინანსური დახმარება, კრიზისი აუცილებლად იფეთქებს.

– თუ რუსეთმა გამოგვიცხადა ეკონომიკური ომი და ამისთვის გამოიყენა საქართველოში არსებული რუსული კომპანიები, რამდენად შეუძლია საქართველოს ამ ომს გაუძლოს?

– ეს საფრთხე რეალურად არსებობს და ამის მიზეზია ის, რომ, იმ უარყოფითი არტიკულაციის ფონზე, რითაც ხასიათდებოდა პოსტ-რევოლუციური მთავრობა, მან კარი გაუხსნა რუსულ კაპიტალს და ძალიან დიდი რაოდენობით შემოუშვა ქართულ ბაზარზე. ჩვენ ვდგევართ რეალური საფრთხეების წინაშე, რომელიც გვქონდა ომამდელ, მაგრამ ეს სიტუაცია ომის გამო, რა თქმა უნდა, უფრო დაიძაბა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს რუსული კომპანიები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ, არიან სათაო კომპანიების შვილობილი ოფისები, ხოლო თუ სათაო კომპანიებს შეექმნებათ პრობლემები, ავტომატურად პრობლემები ექმნებათ შვილობილ ოფისებისაც. შესაძლოა დღეს რუსეთმა არ გამოიყენოს ეს კომპანიები საქართველოში ეკონომიკური კრიზისის შესაქმნელად. მაგრამ, დავუშვათ რუსეთმა ყურადღება არ მიაქცია არც თავის

პოლიტიკურ იმიჯს, არც თავად რუსეთშივე შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და საქართველოსთან დაიწყო ეკონომიკური ომი – თუ საქართველო იქნება მარტო და დასავლეთი არ დადგება მის გვერდით, საქართველოს ეს ომი წაგებული აქვს, ისევე როგორც სამხედრო ომი. მაგალითად, რუსეთს შეუძლია ბანკთაშორის ბირჟაზე სპეკულაციური ოპერაციებისთვის გამოიყენოს „ვითიბი ბანკი“, რომელმაც ხელი შეუწყოს ჯერ ხელოვნური მოთხოვნის შექმნას ლარზე, შემდეგ კი ლარი უეცრად დაყაროს და ამით გააუფასუროს. ასევე შეუძლიათ პრობლემების შექმნა ენერგეტიკულ კომპანიებს. ფაქტია, რომ საქართველოში რუსული ენერგეტიკული გიგანტი არსებობს და მას ყოველთვის შეუძლია თავისი მონოპოლიური მდგომარეობა გამოიყენოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იქნება ზამთარი და სიცივე. ამ დროს ჩვენს მთავრობას აღებული აქვს კურსი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების დასუსტებისკენ. ეს კი აშკარა შეცდომაა! ამიტომაც ვიყავი საქართველოში რუსეთისათვის სტრატეგიული ობიექტების მიყიდვის წინააღმდეგი. ახლა წარმოდგინეთ, რომ გაყიდული იყოს მაგისტრალური გაზსადენი, რომლის გაკეთებაც უნდოდა ქვანია-ნოღაიდელ-ბენდუქიძე-გილაურს, ან გაყიდული იყოს რკინიგზა, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით? კიდევ კარგი, რომ რკინიგზის გაყიდვა გაზაფხულზე ვერ მოესწრო, ხოლო „გაზპრომმა“ ვერ შეძლო მაგისტრალური გაზსადენის ყიდვა, რასაც უნდა ვუმაღლოდეთ “ძია სემს”. ის რომ არ ჩარეულიყო საქმეში, საქართველოს მთავრობა გაზსადენს “გაზპრომს: აუცილებლად მიყიდდა.

– არის თუ არა რუსეთიდან ბუნებრივი აირის აირის შეწყვეტის საშიშროება და მართლა აქვს თუ არა საქართველოს მთავრობას ქვეყნის გაზომარაგების ალტერნატიული გზა?

– გაზის საკითხი ეს არის იდუმალებით მოცული თემა, რომელიც ნამდვილად არ ვიცი, რატომ გაასაიდუმლოა საქართველოს მთავრობამ. არავინ იცის, მთლიანი გაზომარაგების რა წილი უკავია აზერბაიჯანულ, თუ რუსულ გაზს. ვიცით, მხოლოდ ის, რომ სომხეთში გაზის ტრანზიტისთვის საქართველო იღებს გატარებული აირის 10%-ს. ანუ, რუსული გაზი ჩვენთან უკვე არის. წესით, გაზპრომმა უნდა გააგრძელოს სომხეთში გაზის ტრანზიტი, თუმცა აქაც შეიძლება გარკვეული პრობლემები შეიქმნას, რადგან გაზპრომი ფლობს გაზსადენს, რომელიც ირანიდან მიაწვდის გაზს სომხეთში. გარდა ტრანზიტით მიღებული 10%-ისა შემოდის თუ არა რუსული გაზი საქართველოში, ჩვენ ეს არ ვიცით. მეტიც, ჩვენ ისიც არ ვიცით რა უჯდება

საქართველოს გაზის იმპორტი, რა ფასად ვყიდულობთ გაზს იგივე აზერბაიჯანიდან ან სხვა ქვეყნიდან. ეს ინფორმაცია სამწუხაროდ დახურულია და აქ რაიმე შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

– მიუხედავად ასეთი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისა, საქართველოში გრძელდება კლანებს შორის შიდა ომი. ამის ნათელი მაგალითია ყოფილი პრემიერის დაპირისპირება მოქმედ პრემიერზე.

– სიმართლე გითხრათ, მე ნოღაიდელის ინტერვიუდან რაღაც სერიოზულს მოველოდი, მაგრამ ლანძღვა-გინების მეტი მე იქ ვერაფერი დავინახე. სულაც არა ვარ ლადო გურგენიძის მხარდამჭერი, და მით უფრო ადვოკატი, და ეს საზოგადოებამ კარგად იცის, მაგრამ ნოღაიდელისგან ასეთი ტიპის განცხადებები, რომ მთავრობა არ არის პროფესიონალი, საჭიროებს უფრო მეტ დასაბუთებას. პირველი კითხვა – რითი განსხვავდება გურგენიძის მთავრობა ნოღაიდელის მთავრობისაგან, გარდა იმისა, რომ ნოღაიდელი აღარ არის პრემიერი და არის გურგენიძე? როგორც გურგენიძის მთავრობაში მთავარი ფიგურა არის კახა ბენდუქიძე, ასევე ნოღაიდელის მთავრობაშიც მთავარი ფიგურა იყო იგივე ბენდუქიძე. უბრალოდ ნოღაიდელის მთავრობაში მას მინისტრის პორტფელი ჰქონდა, გურგენიძის მთავრობაში ეს პორტფელი არ გააჩნია, მაგრამ რასაც იქ აკეთებდა, იგივეს აკეთებს. ფინანსთა მინისტრი შეცვალა ლადო გურგენიძემ? თუ ეკონომიკის მინისტრი იყო მაშინ პროფესიონალი და ეკონომიკური პოლიტიკის შემქნელი და ახლა არაა? ანუ, საკადრო თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა. არც იდეების გენერატორის თვალსაზრისით. გურგენიძემ მხოლოდ სამი რამ გააკეთა, რაც ნოღაიდელმა ვერ ან არ გააკეთა. პირველი – დაანგრია ეროვნული ბანკი, მაგრამ ამის გაკეთება 2006 წელს ნოღაიდელსაც უნდოდა და უბრალოდ პარლამენტში ვერ გაიტანა. მეორე – გურგენიძემ მიიღო კანონი, რომელიც უფრო პოლიტიკური პიარი იყო და რომელიც გულისხმობს საქართველოს ფინანსურ ცენტრად გადაქცევას. თუმცა ეს კანონი რეალურად არ ამოქმედებულა, ის ჯერ მხოლოდ ქაღალდზეა და ამაზე კრიტიკა შეუძლებელია, რადგან ჯერ კიდევ საკითხავია, ფინანსურ ცენტრად გადაქცევა კარგია თუ ცუდი. მესამე – რაც გურგენიძემ მართლაც გააკეთა ნოღაიდელისგან განსხვავებით ისაა, რომ ევროობლიგაციებით 500 მილიონიანი საგარეო ვალით დაამძიმა საქართველოს ეკონომიკა, მაგრამ ამაზე ნოღაიდელი არაფერს არ ამბობს. მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მან დაბოლმოდ გულზე მისცა ეს ინტერვიუ და თუ ასეთ სტილში გაგრძელდა ეს

ყველაფერი, ეს საქართველოსთვის არ იქნება კარგი. ეს ბაზრის დედაკაცების ჩხუბს უფრო დაემსგავსება.

– შეიქმნა ანტიკრიზისული საბჭო, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს საქართველოში ჰუმანიტარული დახმარებების სწორად განაწილების პროცესს. თქვენი აზრით, რამდენად საჭირო იყო ასეთი საბჭოს შექმნა?

– ამან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გროტესკულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. გროტესკულობის პირველი თვალსაჩინო მაგალითი იყო, როცა 2006 წელს თავდაცვის მინისტრს დაევალა ღვინის გაყიდვა. მეორე იყო, როცა 2007 წელს შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა ეკონომიკის ანტიმონიპოლიური რეგულირება. ამ ომის შემდეგ კი ისევ კუროზული სიტუაცია გვაქვს. ჯერ იყო და შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა, ახალი დასახლებული პუნქტების მშენებლობა, რაც, რა თქმა უნდა, მთელი მთავრობის საკეთებელია და ფუნქციონალურად ყველაზე ნაკლებად შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხება; მოგვიანებით კი ანტიკრიზისული საბჭოთიც “გავბედნიერდით”. ასე, რომ დღეს საქართველოს ჰყავს სამი მთავრობა – აქედან ერთია კონსტიტუციური. ვგულისხმობ პრემიერ-მინისტრის, ლადო გურგენიძის მთავრობას, ხოლო დანარჩენი ორი პრაქტიკულად, მთავრობის ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ ვერანაერ კანონის ჩარჩოებში ვერ ჯდება. ანუ, ჩვენ გვყავს ერთი ფორმალური პრემიერ მინისტრი ლადო გურგენიძის, მეორე არაფორმალური პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილის და მესამე, კომიკური პრემიერ-მინისტრი გია თორთლაძის სახით. იქმნება ე.წ. ანტიკრიზისული საბჭო, როდესაც თურმე რაღაც ხელმოწერის უფლებაც გადასცა პრეზიდენტმა. ეს არ არის საკონსულტაციო ორგანო ან მთავრობასთან ან პრეზიდენტთან, რომლის შექმნა პრეზიდენტის უფლებაა, არამედ, ეს არის აშკარად არაკონსტიტუციური ორგანო, რომელიც თურმე, ერთის მხრივ ზედამხედველობას უწევს მთავრობას, და მეორეს მხრივ საერთაშორისო დახმარებებს ამაწოდებს. ბოდიში მაგრამ, მაშინ პარლამენტის ფუნქცია რა არის? პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ მთავრობაზე ზედამხედველობაა. თანაც, ამ ანტიკრიზისულ საბჭოში შედიან დეპუტატები. მათ ვინ აუკრძალა ეს ყველაფერი პარლამენტიდან გააკეთონ? მათთან ერთად საბჭოში შედიან იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც საერთოდ არ არიან პარლამენტში, მაგრამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ. აი ამათ კი საერთოდ ვინ ეკითხებათ? ისინი ხომ ხალხს არ აუარჩევია? იმ პარტიებმა, რომლებმაც უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე,

ამომრჩევლების ხმები მაინც მიიღეს, მაგრამ ისინი ამ საბჭოში არ არიან. სამაგიეროდ არიან იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც საზოგადოებაში ნაკლები ნდობით ხასიათდებიან. გარდა ამისა, რას ქვია ჰუმანიტარული დახმარებების კოორდინაცია? აბა, მთავრობა რას აკეთებს? მე პირადად თორთლაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ კომიკურ პრემიერ-მინისტრს იმიტომ ვუწოდებ, რომ არა მგონია მთავრობამ რეალურად რაიმე ფუნქცია გადასცეს. და თუ მაინც გადასცა, მაშინ მართლა გამოდის, რომ სამი პრემიერ-მინისტრი გვეყოლება. მე ვერ წარმომიდგენია სამმა მთავრობამ ქვეყანა ერთდროულად როგორ უნდა მართოს. ჩვენ რამდენიც არ უნდა ვიშაყიროთ ან სერიოზულად ვილაპარაკოთ ამაზე, მთავრობის გასამმაგება აზრალებს ქვეყანას: ჯერ ერთმა რა გვიყო და სამი რას გვიზამს? ასე სახელმწიფო ვერ აშენდება...

დიმიტრი ტიკარაძე